

**რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსი - 040752
პროფესიული სტანდარტი**

I. სფეროს აღწერა

რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსის საქმიანობა ემსახურება ელექტრიფიცირებული რკინიგზის ელექტრომომარაგების სფეროს. აწარმოებს წნევის ქვესადგურების, დასექციების და პარალელური შეერთების პოსტების დანადგარებისა და აპარატურის, საკონტაქტო ქსელის, მის საყრდენებზე ჩამოკიდებული გრძივი ელექტრომომარაგების და ავტობლოკირების მაღალი ძაბვის ხაზების, ტალღა გამტარი ხაზების მონტაჟს, მოვლა-შენახვას, მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების ორგანიზებას და ჩატარებას.

II. დასაქმების სფერო

რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსი არის პერსონალი, რომელიც რკინიგზის ელექტრომომარაგების საწარმოებში - წევის ქვესადგურებში, საკონტაქტო ქსელის რაიონებში, ელექტრომომარაგების სამმართველოების სარემონტო-სარევიზიო სახელოსნოებში და ელექტროქსელებში ამონტაჟებს, არეგულირებს, ექსპლუატაციას უწევს, არემონტებს დაბალი და მაღალი ძაბვის აპარატურას, დანადგარებს, ელექტროდამცავ, მზომ და საკონტროლო მოწყობილობებს. გარდა ამისა, იგი შეიძლება დასაქმებულ იქნას სამრეწველო, საქალაქო, სოფლის მეურნეობის ელექტრომომარაგების ელექტრიკოსად; ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოებზე მშენებლობებზე; ელექტრომონტიორად ნებისმიერ საწარმოში; საყოფაცხოვრებო ელექტროაპარატურის შეკეთების სახელოსნოებში.

III. დამატებითი მოთხოვნები

მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსის პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი. თითოეულ საფეხურზე შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 90 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

IV. რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსის პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერი

რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა. აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს</p>	<p>იცის: წევის ქვესადგურის ელექტრომოწყობილობების ელექტრული და სამონტაჟო სქემები, ელექტრომოწყობილობის დასახელება და დანიშნულება; გამანაწილებელი მოწყობილობები; წევის ქვესადგურებზე გამოყენებული სამაგრი დეტალების, არმატურის, სადენტა და კაბელთა მარკების ძირითადი სახეობები; მომსახურეობას დაქვემდებარებული ძირითადი მოწყობილობების დაზიანების ან ნორმალური მდგომარეობიდან გადახრის ნიშნები და მათი აღმოფხვრის მეთოდები; საკონტაქტო ქსელის და ელექტრომომარაგების სხვა მოწყობილობების კვების და დასექციების სქემები; დენგამტარ ნაწილებამდე საიზოლაციო მანძილები; სადენტა შეპირაპირების და დამაგრების მეთოდები და საშუალებები; საკონტაქტო ქსელზე სამუშაოების წარმოებისას შემოსაზღვრის წესი; საკონტაქტო ქსელის შენახვისა და რემონტის წესები თავისი კომპეტენციის და მოვალეობების ფარგლებში; სარკინიგზო კავშირგაბმულობის მუშაობის პრინციპი; აცნობიერებს თეორიული, თეორიული მომზადების დონის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გადრმავეების აუცილებლობას პროფესიული ზრდისათვის გართულებული ამოცანების შესასრულებლად.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია: გამოიყენოს სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე უნარების ფართო სპექტრი და გარკვეული დამოუკიდებლობით წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციის მიხედვით შეასრულოს შემდეგი სამუშაოები: წევის ქვესადგურის ტუმბოების, ამომრთველების, კონტაქტორების და სხვა აპარატურის დაშლა და აწყობა; ზეთის გაფილტვრა და სინჯის აღება; სწრაფმომქმედი ავტომატების რკალმქრობი კამერების გადაჩხრეკა მათი ასბესტოცემენტის ტიხარების დამზადებით; ქვესადგურის განათების მონტაჟი; იზოლატორების არმირება; სალტეების, განტოტვების, გადაერთებების დამზადება და გადაღვნა; სადენტების და კაბელების, ამომრთველების ლითონის კონსტრუქციების, გამანაწილებელი მოწყობილობების კამერების შეღებვა; საკონტაქტო ქსელის,</p>

		საყრდენებზე ჩამოკიდებული მაღალი ძაბვის ხაზების, მასზე მიერთებული სატრანსფორმატორო ქვესადგურების მონტაჟი, დემონტაჟი, დათვალიერება, აზომვა, მდგომარეობის შემოწმება და რემონტი; საყრდენების დადგმა; ელექტროსარემონტო სამუშაოების შესრულება სიმაღლეზე, მოხსნილი ძაბვით, იმ ნაწილებთან ახლოს რომლებიც იმყოფება ძაბვის ქვეშ მატარებელთა მოძრაობის შეუწყვეტლად ან დროით რეგლამენტირებულ შესვენებისას; მალეების სიგრძის გაზომვა; სამუშაოს ადგილის შემოღობვა სადგურებზე და გადასარბენებზე; საშუალო დაანკერების გვარლების დამზადება; აღდგენითი სამუშაოების შესრულება სხვადასხვა ატმოსფერულ პირობებში; დროებითი სიგნალების დაყენება საკონტაქტო ქსელის საყრდენებზე.
დასკვნის გაკეთების უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი	შეუძლია: განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად საჭირო პროფესიული საინფორმაციო წყაროებით სარგებლობა, ინფორმაციის შეფასება და ანალიზი რის საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას რაიმე დეტალის (ელემენტის) შეკეთების ან შეცვლის შესახებ.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება შეუძლია წინასწარ განსაზღვრული	შეუძლია: დეტალური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალთან პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში; ეფექტურად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს - ტექნიკურ ჟურნალებს, ცნობარებს და ინტერნეტს. შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება და საჭირო მასალის მოძიება უცხოურ ენაზე.
სწავლის უნარი	ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება	წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში შეუძლია საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება. დამოუკიდებლად იღრმავებს ცოდნას დამატებით მოძიებული ლიტერატურით.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიულ საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	მოქმედებს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად განსხვავებულ სიტუაციებში; იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს; იცნობს უსაფრთხოების წესებს და განუხრელად იცავს მას; პასუხისმგებლობით ეკიდება სამუშაო პროცესს.

რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემის გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს</p>	<p>იცის: სარკინიგზო ტრანსპორტიდან - სარკინიგზო ტრანსპორტის ფუნქციონალური დანიშნულება, მისი შემადგენელი რგოლები, ელექტრიფიცირებული რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის საწარმოები და მათი ადგილი სფეროში; მასალათმცოდნეობიდან - კონსტრუქციული, გამტარი და საიზოლაციო მასალების ძირითადი მახასიათებლები, თვისებები, რკინაბეტონი; მათემატიკიდან - გაწარმოება, ინტეგრირება მოკლედშერთვისას, გადამეტაბვისას, რკალის ქრობის და დენის ცვალებადობის გარდამავალი რეჟიმების მათემატიკური საფუძვლების ახსნისათვის; ხაზვიდან - მარტივი მექანიზმების, რედუქტორების კონსტრუქციული ნახაზების კითხვა და გარჩევა; ტექნიკური მექანიკიდან – მოძრაობის გარდამქმნელი მექანიზმები, დეფორმაციის ნაირსახეობები, ელექტრომომარაგების მოწყობილობებში, აპარატებში, სალტებში მოკლედშერთვისას, წარმოშობილი დეფორმაციები მათი სიმტკიცეზე გაანგარიშებისათვის; ელექტროტექნიკიდან და სამრეწველო ელექტრონიკიდან – ელექტრულ ამძრავი, ტრანსფორმატორები, გამმართველები, გამართვის სხვადასხვა სქემებისთვის ძირითადი პარამეტრების დადგენა; ელექტრიფიცირებული რკინიგზის წევის ქვესადგურების, საკონტაქტო ქსელის მექანიკური და ელექტრული ნაწილის მოწყობილობა, კონსტრუქციული შესრულება და მოქმედების პრინციპი; წევის ქვესადგურების და საკონტაქტო ქსელის კვების, დასეკციების და წევის სარელსო წრედების სქემები; წევის ქვესადგურებზე და საკონტაქტო ქსელზე განლაგებული დანადგარებისა და მოწყობილობების შესაძლო უწყისივრობები, მათი გამოვლენისა და აღმოფხვრის მეთოდები; წევის ქვესადგურებზე და საკონტაქტო ქსელზე იზოლაციის წინააღმდეგობის გაზომვის მეთოდები და იზოლაციის დონის ნორმები; სარელსო დაცვის სამონტაჟო სქემები, ყველა სახის რელეების მოწყობილობა და მუშაობის პრინციპი; წევის ქვესადგურებზე განლაგებული გამმართველი აგრეგატების პროფილაქტიკური გამოცდების ჩატარება; წევის ქვესადგურებისა და საკონტაქტო ქსელის მოწყობილობათა საექსპლუატაციო მომსახურების ტექნიკური ნორმები; საკონტაქტო ქსელის საყრდენთა დაკვალვის, მათი ქვებურში დაყენების წესები, საყრდენთა ფუნდამენტების კონსტრუქციები და ზომები; აცნობიერებს გარკვეულ პასუხისმგებლობას შესრულებული სამუშაოს ხარისხზე და მის გაუმჯობესებაზე.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები</p>	<p>შეუძლია: ელექტრომოწყობილობების და დამცავი საშუალებების რეგულირება და გამოცდა; ზეთიანი ამომრთველების, სწრაფმომქმედი ავტომატების ამძრავების აკრეფა რეგულირებით და დეტალების შეცვლით; ნახევარგამტარული გარდამსახების, ძალური ტრანსფორმატორების მეორადი კომუტაციის სქემების შემოწმება; საშუალო სირთულის დაცვების შემოწმება და გამართვა; ელექტროდანადგარების და კაბელების მაღალ ძაბვაზე გამოცდა; ასაკრეფი კომპლექტური</p>

	შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.	გამანაწილებელი მოწყობილობების, მათი ცალკეული ბლოკების და კვანძების დადგმა და რეგულირება; პირველადი და მეორადი კომუტაციის სქემების ავტომატიკისა და დაცვების მონტაჟი; სააკუმულატორო ბატარეის მონტაჟი, ექსპლუატაცია და შეკეთება; საკუთარი მოხმარების აპარატურის ექსპლუატაცია, შეკათება; საკონტაქტო ქსელის საყრდენებზე ჩამოკიდებული მაღალი ძაბვის ხაზების მოწყობილობების რევიზია და რემონტი; საკონტაქტო ქსელის განივი და გრძივი რეგულირება; მოქნადი განივას მაფიქსირებელი გვარლების დაჭიმულობის რეგულირება; დისტანციური მართვით აპარატურის გაწყობა და რეგულირება; საკონტაქტო ქსელის რეგულირება და ჩატარებულ სამუშაოზე ტექნიკური ზედამხედველობა; დისტანციური მართვით აღჭურვილი დასექციების გამთიშველებზე უწყისვრობების გამოვლენა და აღმოფხვრა; გადამეტაბვისაგან დამცავი აპარატურის დანიშნულება, დამონტაჟება, შეკეთება.
დასკვნის გაკეთების უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგების ანალიზი	შეუძლია: ცვალებად სიტუაციებში წარმოშობილი პრობლემის წამოჭრისას დამოუკიდებლად მიიღოს დასკვნა მის გადასაწყვეტად; გარკვეული სამუშაოს ჯგუფური შესრულებისას, ზედამხედველობა გაუწიოს და შეაფასოს მასზე დაქვემდებარებულ პირთა საქმიანობა და მიიღოს გადაწყვეტილება ამ სამუშაოს გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებულ პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება	შეუძლია: პროფესიასთან დაკავშირებული ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება; როგორც სპეციალისტებისათვის, ასევე არასპეციალისტებისთვის იდეებისა და საკვანძო საკითხების შესახებ ინფორმაციის პროფესიულ დონეზე გადაცემა; პროფესიასთან დაკავშირებული სიახლეების გასაცნობად თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სრულყოფილად გამოყენება; უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ლიტერატურის მოძიება და გაცნობა საჭიროების შემთხვევაში ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციათა დაინტერესებულ პირებთან
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცაწაწილობრივ ცვალებად ვითარებაში	შეუძლია: საკუთარი ინიციატივით ცოდნის გაღრმავება; მოიძიოს ახალი პროფესიული ინფორმაცია, გადაამუშაოს და გაანალიზოს პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, გაუზიაროს კოლეგებს და მიიღოს მონაწილეობა დანერგვაში; გაიზიაროს პროფესიული წინსვლის პერსპექტივები და დამოუკიდებლად დაგეგმოს პროფესიული განვითარების საფეხურები.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად	აფასებს თავისი და მასთან ერთად მომუშავე ადამიანების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და უზიარებს სხვებს; მკაცრად იცავს უსაფრთხოების წესებს ცვალებად სიტუაციებში;

რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს)</p>	<p>იცი: ელექტროტექნიკა და სამრეწველო ელექტრონიკიდან მზომი ხელსაწყოებისა და ელექტრონული რელეების მუშაობის პრინციპი; რკინიგზის ელექტრომომარაგების ავტომატიკისა და ტელემექანიკის ელემენტები და მათი მოქმედების პრინციპი; წარმოების ორგანიზაციის, შრომისა და მართვის საფუძვლები; წვევის ქვესადგურებისა და საკონტაქტო ქსელის მოვლა-შენახვის ორგანიზება; ტექნიკური ექსპლუატაციისა და ელექტრულ დანადგართა მოწყობის წესები; დარგის შრომის კანონმდებლობა; მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნები, ღონისძიებები და ნორმები; ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხები; საქართველოს რკინიგზის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები, მატარებელთა მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის ინსტრუქცია, სიგნალიზაციის ინსტრუქცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში და სფეროსთან დაკავშირებული სამსახურეობრივი ინსტრუქციები. აცნობიერებს პროფესიული ცოდნის დამოუკიდებლად განახლების აუცილებლობას.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემის შემოქმედებითად გადაწყვეტა</p>	<p>- წვევის ქვესადგურების და საკონტაქტო ქსელის დანადგარების და აპარატურის ექსპლუატაციის ორგანიზება ან უშუალოდ შესრულება; უშუალოდ აწარმოოს ან უხელმძღვანელოს წვევის ქვესადგურებისა და საკონტაქტო ქსელის მოწყობილობათა მიმდინარე შეკეთებას; აწარმოოს საკონტროლო გაზომვითი სამუშაოები ელექტრიფიცირებულ უბანზე საქსპლუატაციო სამმართველოს ფარგლებში; უწყისივრობის (პრობლემების) აღმოჩენა, დაფიქსირება, მიზეზის დადგენა და შეკეთების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება; ელექტრომონტიორთა ბრიგადის სამუშაოს ორგანიზაცია, ინსტრუქტაჟი და სამუშაოში პირადი მონაწილეობა სამუშაოს განაწესის მიხედვით, ენერგოდისპეტჩერის ბრძანებით, დადგენილი ტექნოლოგიით და უსაფრთხოების ღონისძიებების დაცვით; სამუშაო ადგილის სწორად შემოღობვა გადასარბენზე ან სადგურზე და მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფა; დამცავი საშუალებების, სამარჯვების და ინსტრუმენტების გამართული მდგომარეობის უზრუნველყოფა; ელექტრომონტიორების და სხვა მუშაკების მიერ უსაფრთხოების ტექნიკის წესების და სამუშაოს ტექნოლოგიის დაცვაზე მეთვალყურეობის უზრუნველყოფა; საკონტაქტო ქსელის პერიოდული დათვალიერება და პანტოგრაფიის მიერ დენის მოხსნის შემოწმება; საწარმოო ტრამვებისა და უბედური შემთხვევების დროს პირველადი დახმარების აღმოჩენა; საკონტაქტო სადენის ცვეთის ინტენსივობის შემცირების ღონისძიებების დანერგვის უზრუნველყოფა; დანადგართა მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების დადგენა; პროფესიული ცოდნის გამოცდილების სხვისთვის გადაცემა.</p>

დასკვნის გაკეთების უნარი	შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნის გაკეთება	შეუძლია: კარგად განსაზღვრული პრობლემის ამოცნობა, როგორცაა ლითონის ნაგებობაზე კოროზიის ინტენსივობის ზრდა, პანტოგრაფიის ცოცხალ ზედაპირის ერთ ადგილზე ამოჭმა, საკონტაქტო ხაზის კავშირგაბმულობის ხაზებზე ხელშემშლელი გავლენის გაზრდა და სხვა; მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით; დასაბუთებული დასკვნების გაკეთება მათი მიზეზების შესახებ.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა	შეუძლია: იდეებისა და პროფესიისთვის დამახასიათებელი საკვანძო საკითხების შესახებ ინფორმაციის თანმიმდევრულად და სტრუქტურირებულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი პარამეტრების გამოყენებით; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სრულყოფილად გამოყენება; უცხო ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში	შეუძლია: საკუთარი სწავლის შედეგების შეფასება, ცოდნის დონის ამაღლების საჭიროების განსაზღვრა, მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება; სისტემატურად ეცნობა მეცნიერების უახლოეს მიღწევებსა და თანამედროვე ინტენსიურ ტექნოლოგიებს პერიოდული გამოცემებისა და ინტერნეტის საშუალებით.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოუკიდებლობას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს	გაცნობიერებული აქვს საქმიანობის სფეროს მნიშვნელობა; მკაცრად იცავს და სხვებსაც მოუწოდებს დაიცვან უსაფრთხოების ყველა ღონისძიებები, რადგან მცირედი უზუსტობა, უყურადღებობა, გაუფრთხილებლობა შეიძლება მიზეზი გახდეს საწარმოო ტრავმატიზმის და დეტალური შედეგისა ცკი; საქმიანობისას მოქმედებს და სხვებსაც მოუწოდებს იმოქმედოს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისად.